დანართი 1

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ---- იანვრის
N---------- ბრძანებით

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“ ფარგლებში სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამის (ღონისძიება „ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“) ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მომართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში;
დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა;
ე) ანგარიშ-ფაქტურა, გაცემული იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც პაციენტს უნდა ჩაუტარდეს (უტარდება) მკურნალობა;
ვ) საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული მიმართვა მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით;
ზ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვის ცენტრის მენეჯერის მიერ გაცემული დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი.

ქვეპროგრამით სტაციონარული დახმარება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.